თანამშრომლობის მემორანდუმი

საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - კონკურენციის სააგენტოსა
და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - შემოსავლების სამსახურს შორის

ქ. თბილისი „23“ „იანვარი“ 2015 წ.

ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - კონკურენციის სააგენტო (შემდგომში - სააგენტო), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის **გიორგი ბარაბაძის** სახით, და მეორე მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შემოსავლების სამსახური (შემდგომში - შემოსავლების სამსახური), წარმოდგენილი მისი უფროსის - **გიორგი თაბუაშვილის** სახით, შემდგომში ერთობლივად წოდებულნი მხარეებად, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის „პ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე თანამშრომლობის მემორანდუმს (შემდგომში - მემორანდუმი):

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის, კერძოდ, ცალკეული გადასახადის გადამხდელის შესახებ იდენტიფიცირებადი ინფორმაციის სააგენტოსათვის მიწოდების მიზნით, შემოსავლების სამსახური უზრუნველყოფს მონაცემთა ავტომატიზებულ სისტემა „ASYCUDA“-სა და მონაცემთა ბაზების მართვის სისტემა „ORACLE“-ში სააგენტოს დაშვებას.

2. ინფორმაციის მიწოდება განხორციელდება მემორანდუმის პირველ პუნქტში მითითებული ელექტრონულ სისტემებში სააგენტოს რეალურ დროში (Online) დაშვების გზით.

3. ინფორმაციის მიწოდება განხორციელდება შემოსავლების სამსახურის სერვერებიდან დახურული არხებითა და სპეციალური დაშვების (ავტორიზაციის) უფლებით.

4. წინამდებარე მემორანდუმში ცვლილებების შეტანა ხორციელდება მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების გზით.

5. მემორანდუმის თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს მემორანდუმი შეწყვეტის თარიღამდე მინიმუმ 2 (ორი) კალენდარული თვით ადრე წერილობითი შეტყობინების მემორანდუმის მეორე მხარისათვის გაგზავნის გზით.

6. მემორანდუმის რომელიმე პუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად მემორანდუმის ბათილობას, თუ იგი დაიდებოდა ასეთი ბათილი პუნქტის გარეშეც.

7. წინამდებარე მემორანდუმით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

8. მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგანაც თითოეული გადაეცემა მხარეებს.

9. მემორანდუმი ძალაშია მხარეების მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ მის გაუქმებამდე.

კონკურენციის სააგენტო	**შემოსავლების სამსახური**
საქართველო, ქ. თბილისი,	საქართველო, ქ. თბილისი,
პ. ინგოროყვას ქ. N7	ვ. გორგასლის ქ. N16
გიორგი ბარამაძე	გიორგი თაბუაშვილი
კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე	შემოსავლების სამსახურის უფროსი